პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ფასი 10 კაპ.

კომუნისტი

ფილიფადი მეთოთხმეტე

სკპ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ცფ. კომიტეტების და სკპ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: პასუ რედაქტორის—14—26, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—53, მო. კანტორის—3—31.

ოთხშაბათი 15 აგვისტო 1934 წ. № 188 (4044)

დღეს ნომერში

— ITALIA—AVSTRIIS მოლაპარაკება.
— უცხოეთის პრესა ამხელს იაპონიის იმპერიალისტების მტაცებლურ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში.
— „კლეგისცი ტისათვის“ მზადება გერმანიაში.
— აღმოსავლეთის პაქტი და პოლონეთ—გერმანიის პოზიცია.
— საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პენზის ორგანიზაციის შესახებ.
— საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობა გაიხსნება 17 აგვისტოს.
— ამხ. ვოროშილოვი ბალტიის ფლოტის ვარჯიშზე.
— ლენინგრადელი მცურავების გამარჯვება. [illegible] მცურავებთან.
— მარგანეცის პროდუქციის გამომუშავების გეგმა 11 აგვისტოს შესრულდა 100.4 პროცენტით.

სასტიკი გრძოლა პურის

გამნიავებელთა წინააღმდეგ

სახელმწიფოსთვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება საქართველოში წელს, შარშანდელთან შედარებით, დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. **სავალდებულო ჩაბარების ივლისის გეგმა საბჭოთა, კოლექტიურმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა 110,3 პროც. შეასრულეს, ხოლო წლიური გეგმა 10 აგვისტომდე—77,6 პროცენტით.**

დამამზადებელი ორგანიზაციები ძირითადად მომზადებული შეხვდენ ახალ მოსავალს. თითქმის ყველა პუნქტმა მოიმარაგა ტარა, შეაკეთა და მომამზადა საწყობები.

მარცვლეულის დამზადების ჩასაშლელად კულაკები და მათი აგენტები ყოველგვარ ზომას ღებულობენ, ისინი ცდილობენ დამამზადებელ აპარატში „თავთავიანთი ხალხი“ შეაპარონ, რათა მისი საშუალებით გაანიავონ დამზადებული მარცვლეული, მიიღონ **უვარგისი** პური, მოატყუონ ჩამბარებლები წონაში და ამით შექმნან **უკმაყოფილება.**

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დაავალა ადგილობრივ ორგანიზაციებს **დაუყოვნებლივ შეემოწმებინათ პურის დამამზადებელი აპარატი, მოეწყოთ პურის გულმოდგინედ დაცვა და გადაპრით გამოესწორებინათ ის ნაკლოვანებები,** რომლებიც მათ მუშაობას შარშან ახასიათებდა.

მასალები, რომელიც ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება, მოწმობენ იმას რომ პლენუმის ეს გადაწყვეტილება ბევრგან **ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შესრულებული.** მაგალითად: „ზაგოტზერნოს“ **სანდარის** პუნქტში პურის მიმღებმა რუბენ დანელიანმა ვაშლოვანელ გლეხს მისცა პურის ჩაბარების **ყალბი ქვითარი.** ფაქტიურად პუნქტისათვის გლეხს არ ჩაუბარებია ხორბალი. ამ „დახმარებისათვის“ დანელიანმა გლეხისგან ქრთამად აიღო 70 მანეთი.

სოფ. **ნორიოს** მცხოვრებმა გაბო გამჯიაშვილმა, რომელიც მოექცა კულაკების გავლენის ქვეშ, დიდუბის მიმღებ პუნქტში ჩასაბარებელი 170 კილოგრამი ხორბალი გადამალა და მოახერხა ყალბი ქვითარის მიღება, გამჯიაშვილი დააჯარიმეს, მაგრამ, როცა გადამალული ხორბალი უკან ჩაბარა მიმღებ პუნქტს, იგი გაათავისუფლეს!

ჩაშბარებელთა მოტყუება წონაში მოხდა წნორის, მუკუზნის, თელავის და ქარელის მიმღებ პუნქტებში.

ყოველივე ეს შედეგია მუშაობის ცუდი ორგანიზაციის, პურის დამამზადებელი აპარატის კლასობრივად უცხო ელემენტებისგან გაუწმენდაობის, კლასობრივი წინააღმდეგობის, რომელსაც კულაკები უწევენ პურის დამზადების საქმეს.

სახელმწიფო პურის გამნიავებლებთან ბრძოლა უნდა გავამახვილოთ, ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონ 7 აგვისტოს კანონის მიხედვით. **პროკურატურის ორგანოები მტკიცედ და ფხიზლად უნდა იდგენ სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე.**

არავითარი დანდობა ქურდებს, მტაცებლებს, მომტყუებლებს, სახელმწიფო პურის გამნიავებლებს.

ფიზკულტურულ მუშაოგას—მტკიცე პარტიული ხელმძღვანელოგა

სპორტი მდიდრების პრივილეგიაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. სპორტი ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს ბურჟუაზიის ხელში მუშათა კლასზე თავისი გავლენის განხორციელებისათვის. „ბურჟუაზიის „მოხერხებული“ ტაქტიკით და სოციალ - ფაშისტების გამცემლობის წყალობით ბურჟუაზიული სპორტი მრავალ ათას ჩვენს კლასობრივ ძმებს ითვლის თავის რიგებში. ბურჟუაზია სპორტის საშუალებით, ამზადებს მასებს იმპერიალისტური ომისათვის.

სულ სხვაა სპორტი საბჭოთა კავშირში. ფიზკულტურა ჩვენში წარმოადგენს ძლავარ **მასობრივ მოძრაობას,** რომელშიაც ჩაბმულია ასეული ათასი მუშა, გლეხი, მოსამსახურე. ფიზკულტურა საბჭოების ქვეყანაში ემსახურება მშრომელთა ფიზიკური გაჯანსაღების საქმეს, **ამზადებს მათ შრომისა და თავდაცვისათვის.**

თუ მტაშევიკური ნაციონალისტურ - შოვინისტური „შევარდენი“ რამდენიმე ასეული კაცს ძლივს ითვლიდა, დღეს საბჭოთა საქართველოში ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმულია 80.000 კაცი, აქედან 46.000 კაცს ჩაბარებული აქვს ნორმები ნიშნებზე „მზად ვარ შრომისა, და თავდაცვისათვის“. ამას გარდა, ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმულია მთელი მოსწავლე პროლეტარული ახალგაზრდობა. წლითიწლობით ფართოვდება ფიზკულტურულ მოედნების და დარბაზების მშენებლობა. წელს ამ საქმეზე ცენტრალური დაწესებულებების ბიუჯეტით გათვალისწინებულია 850.000 მანეთი, აქედან 400.000 მანეთი მარტო ტფილისში. მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება ამ საქმეზე ადგილობრივ ბიუჯეტიდანაც.

მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა, რომლებიც მოიპოვა ფიზკულტურულმა მოძრაობამ საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში, ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა მაინც **არ არის დამაკმაყოფილებელი.** დაბალია ფიზკულტურული მუშაობის ხარისხი.

ფიზკულტურული მუშაობის ხარისხობრივი ჩამორჩენის ერთერთი ძირითადი მიზეზია **ინსტრუქტორთა კადრების სიმცირე და დაბალი კვალიფიკაცია.** ტფილისში ფიზკულტურის 176 ინსტრუქტორია და მათ შორის მხოლოდ 28 აქვს მაღალი კვალიფიკაცია. ეს კადრი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ ფიზკულტურულ მოთხოვნილებას. კადრების მომზადების მიზნით ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მოაწყოს მიმდინარე წელს სკოლები სპორტის ცალკეული სახის მაესტროების მოსამზადებლად

პროლეტარული ფიზკულტურა ორგანიზულად შეიჭრა ჩვენი მუშის, კოლმეურნის და მოსწავლე ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებაში. ის მშრომელთა მოთხოვნილებად გადაიქცა. ეს ავალებს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა, ოპერატიული და კონკრეტული გახადონ ის; **„ჩვენ უნდა აღვზარდოთ — ამბობს ამხ. სტალინი — მუშების ახალი თაობა—ჯანსაღი, ხალისიანი, რომელთაც შეეძლებათ აამაღლონ საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და დაიცვან მკერდით მტრის თავდასხმისაგან“.**

მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია ფიზკულტურული მუშაობის გაჯანსაღება, მისი გაძლიერება. **პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ფიზკულტურული მუშაობის აყვანა მაღალ საფეხურზე.**

ჩაის ფაბრიკების გეგმისათვის გრძოლაში

15 დღით ადრე 102,5 პროცენტით

ნატანები, 14 აგვისტო. ნაატნების ჩაის ფაბრიკამ მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით აგვისტოში უნდა დამზადებულიყო სულ 25.800 კილოგრამი. ფაქტიურად კი პირველიდან 14 აგვისტომდე ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 26.565 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც **თვიური გეგმის 102,5 პროცენტს უდრის.** ამავე რიცხვისათვის ფოთლის დამზადების **წლიური გეგმა შესრულებულია 96,5 პროცენტით.**

სახელმწიფოსათვის დღემდის ფაბრიკის მიერ ჩაბარებული მზაპროდუქციის 12 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ფაბრიკის დირექტორი
ვ. ჭანუქვაძე.

გავგზავნეთ 6.660 კილოგრამი ჩაი

სალიბაური, 13 აგვისტო. 10 აგვისტოს „ცენტროსოიუზს“ ჩავბარეთ ჩაის მზა პროდუქციის მოცრიგი პარტია—6660 კილოგრამი. აქედან უმაღლესი ხარისხის (გეგმით არ ყოფილა გათვალისწინებული) 1,8 პროცენტით, პირველი ხარისხის 32,1 პროცენტი (გეგმით გათვალისწინებული იყო 7 პროცენტი), მეორე ხარისხის 6,7 პროც. (გათვალისწინებული იყო 70 პროც.). მესამე ხარისხის პროდუქცია, რომელსაც გეგმა 23 პროცენტის რაოდენობით ითვალისწინებდა, ფაბრიკას სრულიად არ გამოუშვია.

ფაბრიკის კოლექტივი შეუსუსტებლივ განაგრძობს ბრძოლას პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ჩაის ხმობის ტექნიკის ათვისებისათვის.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკის სამკუთხედი

დღეს, აგვისტოს 15-ს, საღამოს 7 საათზე შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის ყველა წევრის დასწრება ს ვალდებულია.

ზაფ. ცაკის მდივნის მაგ. ვ. ვაშაკიძე.

გრძოლა ავსტრიისათვის

იტალია ავსტრიის მოლაპარაკება

(ტელეგრაფი „პრავდის“ პარიზელ კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 13 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ცნობით, გუშინ შტაარმბერგი და **მუსოლინი** იხილავდენ საკითხს იტალიის ფაშისტური მილიციის მსგავსად ავსტრიაში მილიციის ორგანიზაციის შესახებ.

ეხება რა ჰაბსბურგების რესტავრაციასთან იტალიის დამოკიდებულების საკითხს, ჰავასის სააგენტო აცხადებს:

„იტალიის პოზიცია ცნობილია. ის ამჟამად გამოდის ყოველგვარი რესტავრაციის წინააღმდეგ. სხვადასხვაგვარი ცნობები სიფრთხილით უნდა მივიღოთ“.

მიუხედავად ამისა, შემდეგ ჰავასი აცხადებს, რომ იტალიაში „გულდასმით იხილავენ ყველა შესაძლებლობას“ ავსტრიის დამოუკიდებლობის დაცვის ნამდვილ ღონისძიებათა გამონახვისათვის.

„ტანი“ ეხება რა იმავე თემას, მოწინავე წერილში წერს:

„არის საფუძვლიანი მიზეზები ვიფიქროთ, რომ ავსტრიის შეერთება გერმანიასთან შეეღერებოდა ომს, მაგრამ ჰაბსბურგების რესტავრაციაც ნიშნავდა ომს, თუ ის მოხდებოდა ყოფილ ავსტრო - უნგრეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა ა ხელმწიფოს / მთავრობებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ჰაბსბურგები რომ დაბრუნებულიყვენ ვენასა და ბუდაპეშტში, იტალიას შეეძლო ქონებოდა შიში მომავალში იმ სახელმწიფოს აღდგენის, რომლისაგანაც ასე დიდხანს იყო დამოკიდებული მისი ბედი, და რომელიც წარმოადგენდა დაბრკოლებას მისი გავლენის გაფართოებისათვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ჩეხო - სლოვაკიას, სამხრეთ-სლავიას და რუმინეთს შეიძლება ეშინოდეთ, რომ ჰაბსბურგების ტახტის აღდგენა გამოაცოცხლებს რამდენიმე ტერიტორიალურ მოთხოვნას სამთგან განაწამები რკინისგზის მოსამსახურეები, იაპონელებს რომ ეს სურდეთ“.

დამახასიათებელია, რომ უკიდურეს შუბლმაგართა ისეთი გაზეთიც კი, როგორიცაა „დეილი ექსპრესი“, აშკარად აღიარებს აგრეთვე **იაპონიის პოლიტიკის მტაცებლურ ხასიათს.**

აქ გავრცელებული კომენტარიები გვიჩვენებენ, რომ შორეულ-აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შეფასებას პრესის ესოდენ სხვადასხვა ორგანოების მიერ, როგორიცაა — „ნიუს ქრონიკლი“ და „დეილი ექსპრესი“, ფაქტიურად იზიარებენ ფართო პოლიტიკური წრეები. იაპონიის, [illegible] ყველაზე უფრო აზრში. შემდეგ პრესის [illegible] ... იაპონოფილურად განწყობილი [illegible] ... ბი ხაზგასმით აღნიშნავენ იაპონიის შეიარაღებთა სწრაფ ზრდას.

„ლონდონი,” 13 აგვისტო. ინგლისის პრესა დიდ ადგილს უთმობს ამხ. ოუდის მოხსენებას და „იზვესტიას“ და „პრავდის“ კომენტარებს „ნიუს ქრონკლი“ ამას მოწონავს სტატიას უძღვნის. რაც შეეხება შორეულ-აღმოსავლეთის სიტუაციას, — წერს გაზეთი, —უეჭველია, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარეა. შეორე მხრით, —განაგრძობს „ნიუს ქრონიკლი“. —იაპონის მთელი მოქმედება მოლაპარაკების დროს ეჭვებს იწვევს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელსაც საბჭოთა ადმინისტრაციას აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზაზე უქმნიდენ, პროვოკაციული ხასიათი არ ქონოდა, ან რომ ინციდენტების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, იაპონელებს რომ ეს მოესურვებიათ. „იაპონის განცხადება, —წერს გაზეთი, — რომ საბჭოთა კავშირი შედის ერთი ლიგაში, სდებს სამშვიდობო პაქტებს დასავლეთის ქვეყნებთან, რათა ხელები გაითავისუფლოს იაპონის წინააღმდეგ მოქმედებისათვის, დაუ[illegible] ...]ებელია“ (ადს).

„ლონდონი,” 13 აგვისტო. ინგლისელ ბანკირებს ეშინიათ, ამბობს „ტაიმსი“, ბერლინის ბანკირებმა ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკის გამასხვავებელი თვისება—სიფხიზლე და თავმდაბლობაა

„პრავდას“ მოწინავე 14 აგვისტო

რამოდენიმე დღის წინათ ჩვენ დავბეჭდეთ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის დადგენილება ჩვენი კორესპონდენტის მიერ მოწოდებული ცნობების — „როგორ განაგებს ვაგინი საქმეებს“ —გამოკვლევის შედეგების შესახებ (16-22 ივლისის „პრავდა“), გამოირკვა, რომ ქ. კაბაკოვსკის მთელ რიგ სამეურნეო ორგანოებში, მათ შორის საქალაქო კომიტეტის და საქალაქო სამეურნეო სამმართველოში მტკიცედ მოიკალათეს სხვადასხვა ჯურის არამზადებმა და ყალთაბანდებმა. ისინი შედარებით დიდხანს და დაუსჯელად აკეთებდენ თავის ბინძურ საქმეებს და უდიდეს ზარალს აყენებდენ სახელმწიფოს. ამავე დროს ქ. კაბაკოვსკის ზოგიერთ ორგანიზაციაში გამეფებული იყო თვითმომგრავება და ადგილი ჰქონდა გასწენის ელემენტებს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ კაბაკოვსკი სრულ გამონაკლის შეადგენს. ცოტად თუ ბევრად ანალოგიურ ფაქტების ადგილი ჰქონდა აგრეთვე სტალინგრადსა და ასტრახანშიაც.

რით უნდა აიხსნას ასეთი მოვლენები?

ცალკეული პარტიული ორგანიზაციების და, უწინარეს ყოვლისა, მათი ხელმძღვანელების არაბოლშევიკური საქციელით.

რევოლუციის წლებში პარტიული კადრები უდიდესად გაიზარდენ, განმტკიცდენ და გამოიბრძმედენ. ისინი შეუპოვრად დენერგიულად მუშაობენ ისე, როგორც ეს ბოლშევიკებს შეფერის. მაგრამ აქტივის წრეშიაც მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, —მართალია ძალიან მცირე რაოდენობით, —რომლებიც უფლებელყოფენ კომუნისტის ელემენტარულ მოვალეობას. ხოლო კომუნისტის უპირველესი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მუდამ ფხიზლად იყოს განადგურებული, მაგრამ ჯერ კიდევ არასაბოლოოდ მოსპობილი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში ახლა იყენებენ უფრო დახვეწილ ხერხებს.

ამხანაგი სტალინი, როცა იგი მოახსენებს უკეთებდა პარტიას და ჩვენს ქვეყანას პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ბრწყინვალე წარმატებების შესახებ, ამავე დროს აღნიშნავდა, რომ „ჩვენი წყობილების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება ისე როგორც კაპიტალიზმის საფუძველს —კერძო საკუთრება“. იგი გვიფიქრებლებდა ჩვენ, რომ ყოფილი ადამიანების მთელი გულისყური მიპყრობილია სწორედ იქითკენ, რომ შეარყიონ ჩვენი წყობილების ეს საფუძველი და რომ ისინი ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ცდილობენ მოაწყონ სახელმწიფო, კოოპერატიული და საკოლმეურნეო ქონების მასობრივი ქურდობა და მტაცებლობა.

ბნელი პიროვნებანი, უმთავრესად ყოფილი კულაკები და ვაჭრები, ე. ი. ისინი ვინც მიჩვეულია გემრიელი ლუკმის ჭამას უშრომლად, სარგებლობდენ რა პარტიული ორგანიზაციების არასაკმაო სიფხიზლით, იჭრებოდენ სამეურნეო, კოოპერატიულ ორგანოებში და გარს ეკვროდენ გამისარჩენ ადგილებს“. თავდაპირველად ისინი თანდათანობით „ეჩვეოდენ“, ოველგვარი საშუალებებით იხვეულდენ უკაცრავად პასუხი ხელმძღვანელების ნდობას და ჩვენ ჯერ პარტიული ბილეთისაც კი შოულობდენ, ხოლო შემდეგ იწყებდენ სახალხო დოვლათის მასობრივად გაფლეთებას.

ხოლო ზოგიერთი ხელმძღვანელი ხშირად ისე იყო მოხიბლული ამ ბნელი ელემენტების გაიძვერობით, რომ თავს „უფრო ხულად გრძნობდენ“ ხელი აეღოთ სხვადასხვაგვარ პატივისცემასა და საჩუქრებზე, ბარათების მიწერის სისტემაზე, ამ საქმოსანი ელემენტების დაცვაზე. ასე მოხდა, მაგალითად, კიევის საოლქო ალმასკომის სამეურნეო განყოფილებაში, სადაც სპეკულანტების გავლენის ქვეშ მოექცენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც „ფარულში“ არ იყვნენ ცუდ მუშაკებად. ფაბზარდი სოციალისტური მეურნეობის ზოოლოგიური სიძულვილი, ბუნებისადმი ეს კლასობრივი მტერი, ეგუება ახალ პირობებს. მიძერება ... ეგუება ... საზოგადოების ... ...

ნითელ არმიას—
მომზადებული შევსება
სამხედრო სკოლების შევსებას განსაკუთრებული უურადღება

წითელ არმიაში მორიგ გაწვევასთან ერთად იწარმოებს სამხედრო სკოლებისათვის კანდიდატების შერჩევა და მიღება. კანდიდატების შერჩევა მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული გაწვევის მოსამზადებელ მუშაობასთან და უნდა მომდინარეობდეს შეუნელებელი ტემპით. ხელთქონებული მასალები კი ცხადყოფენ, რომ ეს საქმე ერთნაირად მივიწყებულია.

სამხედრო სკოლების შევსება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კამპანიას. ის უნდა მომდინარეობდეს ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და სოფლად პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება პარტიულ ორგანიზაციას და ლენინური კომკავშირს, რომელიც სამხედრო სკოლების შევსების პოპულარიზაციის საქმეში მოწინავე უნდა იყოს. მათ უნდა გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია და სამხედრო სკოლების შესავსებად მიიზიდონ საუკეთესო და მოწინავე კომუნისტები, კომკავშირელები, მუშები და კოლმეურნენი. სამწუხაროდ, ადგილობრივად კომკავშირის ორგანიზაციები ამ დავალებას ვერ ამართლებენ. ამას თუ გინდ ის ფაქტიც ადასტურებს, რომ შერჩეულ კანდიდატთა რაოდენობა მინიმალურია და თუ მომავალში მუშაობა ასეთი ტემპით გაგრძელდა, ჩვენ სამხედრო სკოლების შევსების საქმე ჩაგვშლება.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კადრებში არ შეგვეპარონ ზარმაცები, წამლეკავები, პოლიტიკურად მერყეები და სოციალურად საეჭვო ელემენტები. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მეტ ყურადღებას. მათ უნდა გაამახვილონ კლასობრივი სიფხიზლე და მეტ მზრუნველობით მოეკიდონ კანდიდატების შერჩევის საქმეს. მოხალისის ნამდვილი სახის გამოსაშკარავებლად, თვითეული კანდიდატი ყოველმხრივ უნდა იქნას შესწავლილი და შემოწმებული მუშაობისა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. თვითეულ ახალგაზრდას, რომელიც კი განაცხადებს სამხედრო სკოლაში მოხალისედ შესვლის სურვილს, ფაბრიკამ, ქარხანამ, სატრაქტორო სადგურმა, კოლმეურნეობამ და სხვ., უნდა მისცეს ამომწურავი დახასიათება და რეკომენდაცია, რომ ის ნამდვილად აკმაყოფილებს მუშურ გლეხური წითელი არმიის მომავალ მეთაურის მოთხოვნას და კლასობრივად საფასებით მისაღებია.

ასეთ ღონისძიებათა გატარება ჩვენ საშუალებას მოგვცემს დავიცვათ წითელი არმია მასში კლასობრივად უცხო ელემენტების შეპარვისაგან.

თუ როგორ ასრულებენ ამ საპასუხისმგებლო ამოცანას ადგილობრივ, მოწმობს შემდეგი ფაქტები.

„მაქრავინს“ № 2 ფაბრიკის საუკეთესო დამკვრელებს, რომლებმაც სურვილი განაცხადეს სამხედრო სკოლაში შესვლაზე, **დაემუქრენ — თუ ჩინი დაიპრეგდინ წასვლას, მათ ცუდ დახასიათებას მისცემდენ.** აი როგორ ესმის ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგს. პარტიის და ხელისუფლების დავალება წარმოების საუკეთესო დამკვრელების სკოლაში გაგზავნის შესახებ. ეს ხდება **ტფილისში**, ადგილი წარმოსადგენია, რა იქნება პერიფერიებში. სამხედრო სკოლებისათვის კანდიდატების შერჩევის საქმეში აგრეთვე ჩამორჩება **ძუთაისი, ფოთი, აბერასანი** და სხვ.

გაწვევამდე მხოლოდ ერთი თვე დარჩა. ის ნაკლი, რომელიც დღეს არსებობს სამხედრო სკოლების კანდიდატების შერჩევის საქმეში, სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ადგილებზე გაწვევის დამხმარე ყველა კომისიებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა კანდიდატების შერჩევის ირგვლივ, გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია და უზრუნველყონ ეს საქმე ცოცხალი ოპერატიული ხელმძღვანელობით, კონტროლით და შესრულების შემოწმებით.

სამხედრო სკოლებისათვის უნდა შევარჩიოთ კლასობრივად მტკიცე, ფიზიკურად ჯანსაღი და სამხედრო ცოდნით აღჭურვილი წარმოების საუკეთესო დამკვრელი მუშები და აქტივისტი კოლმეურნენი — ასეთია ამოცანა, რომლის შესასრულებლად უნდა დაირაზმოს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. ს. ბოლქვაძე.

უპასუხისმგებლობას ბოლო უნდა მოეღოს

უახლესი საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული წითელი არმია მოითხოვს თვითეული მებრძოლისაგან მაღალ კულტურასა და განჭრიახობას, ამ მოთხოვნილების შესრულება კი შეუძლია მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდობას. ამიტომაა, რომ წითელ არმიაში ვასაწვევთა შორის წერა - კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია ერთი ძირითადი ამოცანათაგანია გაწვევის საუკეთესოდ ჩასატარებლად.

გასული 1933 წლ. 27 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა განათლების კომისარიატს დაუყოვნებლივ გაეშალა მუშაობა 1912 წ. დაბადებულ გასაწვევთა შორის წერა - კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის. მის შემდეგ კარგი ხანი გავიდა, მაგრამ მთავრობის ეს დირექტივა ადგილებზე ჯერ კიდევ არაა შესრულებული.

წერა - კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია 1912 წ. დაბადებულ ახალგაზრდებში ჩატარებულია მხოლოდ 48 პროც.,

რა არის ამის მთავარი მიზეზი? მხოლოდ და მხოლოდ რაიონების განათლების ორგანოების სუსტი მუშაობა და ზერელე ხელმძღვანელობა ზოგიერთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრიდან, რომლებმაც არ უზრუნველყვეს ამ დიდი სამუშაოს მოთავება ზამთრის პერიოდში. აი, ფაქტები:

ადიგენის რაიონში გასაწვევ ახალგაზრდობიდან ბევრი წერა - კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნეა. მათთან კი არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს, ვინაიდან განათლების განყოფილებამ სკოლები საფეხურულად დაბერა, მასწავლებლები შეებულებაში გაუშვა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ღებულობს.

ასეთივე მდგომარეობაა ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, წალკის, საგარეჯოს, სიღნაღის რაიონებში, სადაც ეს მეტად სპასუხისმგებლო მუშაობა თვითდინებაზეა დამყარებული.

ქარხანამ, სატრაქტორო სადგურმა, კოლმეურნეობამ და სხვ., უნდა მისცეს ამომწურავი დახასიათება და რეკომენდაცია, რომ ის ნამდვილად აკმაყოფილებს მუშურ გლეხური წითელი არმიის მომავალ მეთაურის მოთხოვნას და კლასობრივად საფასებით მისაღებია.

ასეთ ღონისძიებათა გატარება ჩვენ საშუალებას მოგვცემს დავიცვათ წითელი არმია მასში კლასობრივად უცხო ელემენტების შეპარვისაგან.

თუ როგორ ასრულებენ ამ საპასუხისმგებლო ამოცანას ადგილობრივ, მოწმობს შემდეგი ფაქტები.

„მაქრავინს“ № 2 ფაბრიკის საუკეთესო დამკვრელებს, რომლებმაც სურვილი განაცხადეს სამხედრო სკოლაში შესვლაზე, **დაემუქრენ — თუ ჩინი დაიპრეგდინ წასვლას, მათ ცუდ დახასიათებას მისცემდენ.** აი როგორ ესმის ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგს. პარტიის და ხელისუფლების დავალება წარმოების საუკეთესო დამკვრელების სკოლაში გაგზავნის შესახებ. ეს ხდება **ტფილისში**, ადგილი წარმოსადგენია, რა იქნება პერიფერიებში. სამხედრო სკოლებისათვის კანდიდატების შერჩევის საქმეში აგრეთვე ჩამორჩება **ძუთაისი, ფოთი, აბერასანი** და სხვ.

ბოლოს ერთი თვე დარჩა. ის ნაკლი, რომელიც დღეს არსებობს სამხედრო სკოლების კანდიდატების შერჩევის საქმეში, სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ადგილებზე გაწვევის დამხმარე ყველა კომისიებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა კანდიდატების შერჩევის ირგვლივ, გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია და უზრუნველყონ ეს საქმე ცოცხალი ოპერატიული ხელმძღვანელობით, კონტროლით და შესრულების შემოწმებით.

სამხედრო სკოლებისათვის უნდა შევარჩიოთ კლასობრივად მტკიცე, ფიზიკურად ჯანსაღი და სამხედრო ცოდნით აღჭურვილი წარმოების საუკეთესო დამკვრელი მუშები და აქტივისტი კოლმეურნენი — ასეთია ამოცანა, რომლის შესასრულებლად უნდა დაირაზმოს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. ს. ბოლქვაძე.

რისთვის
მაგდებენ ოთახიდან

11 თვე ვცხოვრობდი ერთ ოთახში (მეტეხის ქ. № 30), ჩემს გვერდით ოთახში ცხოვრობდა ამხ. ხინთიბიძე. მიმდინარე წლის თებერვალში „26“ კომ. რაისაბჭომ ჩვენ დაგვაცალეს ბინები და ჩაგვასახლა ახალ ბინებში (მესხიშვილის ქუჩა № 37). დაცლილ ბინებში სახლტრესტი უნდა გადმოეყვანათ, ნამდვილად კი იქ სახლტრესტის ნაცვლად რაისაბჭომ ჩაასახლა თავისი თანამშრომეული ამხ. კაციტაძე. უკანასკნელმა იეფ ყოფ. ოთახი გაიკეთა ვანად, ხინთიბიძის — სამზარეულოდ, ხოლო საცხოვრებლად მიიღო მესამე ოთახი.

ახლად გადაყვანილ ბინაში მე ვცხოვრობ ექვსი თვეა; იმის მაგვარად, რომ რაისაბჭოს ოთახი საბოლოოდ ჩემთვის მოეცა, დაპირებისამებრ და შემდეგ გაეფართოებინა ამხ. ხინთიბიძე, რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბერბერაშვილმა გვერდი აუარა რაისაბჭოს ვალდებულებას და სრულიად უპასუხისმგებლოდ ასეთი ცნობა მისცა ამხ. ხინთიბიძეს: „ოთახები მთლიანად (რემიც იგულისხმება) რაისაბჭოს მიერ გადმოგეცა შენ და ითვლება შენს განკარგულებაში და არავის არ აქვს უფლება შეგავიწროვოსო“.

ამის შემდეგ ამხ. ხინთიბიძე ყოველგვარი კანონიერების გარეშე, თვითნებურად, იარაღით ხელში და საკეთდილის მოქარით ცდილობდა ოთახში შემოჭრას. მან ჩემს სახლში არ ყოფნის დროს გასტეხა დაკეტილი ოთახი და შემოიჭრა შიგ.

ჩემი ოთახის სხვაზე გადაცემის მიზეზის შესახებ ამხ. ბერბერაშვილმა ასე მიპასუხა: „შენ იმისათვის გარეთმეე ოთახს, რომ სტუდენტი ხარ და შეგიძლია საერთო საცხოვრებელში მოთავსდეო“. თანახმად ჩემი განცხადებისა ამ საქმეში ჩაერია რესპუბლიკის და რაიპროკურატურა და გასცა განკარგულება ბერბერაშვილის უსაფუძვლოდ გაცემულ განკარგულების გაუქმების და ჩემს ოთახზე ორდერის გამოწერის შესახებ, მაგრამ ბერბერაშვილის ჯიუტობა იმდენად შორის წავიდა, რომ ის არ დაემორჩილა პროკურატურის კანონიერ განკარგულებას.

მე მოვითხოვ საქმის სასწრაფოდ გამორკვევას, დამნაშავეების დაჯას და ჩემს ძველ ბინაში დაბრუნებას ან ახალში დარჩენას.

ერ. თავდუმაძე.

ოსავლის ალეგა და გალეწვა
10 აგვისტოსთვის
(საქ. მიწსახკომის ცნობით)

10 აგვისტოსათვის საქართველოში თავთავიანი კულტურების აღების გეგმა შესრულებულ იყო 67,8 პროცენტით, კოლმეურნეობებში 131.915 ჰექტარიდან აღებულია 93.291 ჰექტარზე. ერთპიროვნულ მეურნეობებში — 269.807 ჰექტარის ნაცვლად 179.264 ჰექტარი. **მოსავლის აღება აღნიშნულ რიცხვისათვის დამთავრებული ჰქონდათ, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებს და აფხაზეთს. კასპის** რაიონს მოსავლის აღების გეგმა შესრულებული აქვს 97,8 პროცენტით, **თელავისას** — 99,5 პროც. **ტფილისას** — 98,5 პროც., **საგარეჯოსას** — 91 პროც., ჩამორჩენილი არიან თი**ანეთის** (გეგმა შესრულებული აქვს 8,1 პროც), **ბაშკიჩეთის** (29,3 პრ.), **ჩოლურის** (28 პროც.), და **ამბროლაურის** (42,3 პროც.), რაიონები. **ბოგდანოვკისა და წალკის** რაიონებს მოსავლის აღებაზე ცნობები სრულიად არ წარმოუდგენიათ.

მოსავლის აღებასთან შედარებით **ჩამორჩენილია ლეწვა.** 10 აგვისტოსათვის ლეწვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებული იყო 26 პროცენტით. კოლმეურნეობებში უკვე აღებულ 93,291 ჰექტარიდან გალეწილი იყო მხოლოდ 49.653 ჰექტარის მოსავალი. ერთპიროვნულ მეურნეობებში აღებულ 179.264 ჰექტარიდან გალეწილია 81.305 ჰექტარი.

გალეწვა სუსტად მიმდინარეობს ყარაიას, ტოლოშისა და ბორის რაიონებში. ყარაიას რაიონში, მაგალითად, 10 აგვისტოსათვის ერთპიროვნულ მეურნეებს 100 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული მოსავლის აღება, გალეწვა კი ჩატარებული იყო მხოლოდ 6 ჰექტარის მოსავალზე. **ტოლოშის** რაიონში აღების გეგმა შესრულებულია 46,8 პროცენტით, გალეწვის გეგმა კი 7,4 პროცენტით. **გორში** მოსავალი აღებული იყო მთელი ფართობის 78,5 პროცენტზე; გალეწვა კი აღებული მოსავლის ნახევარზედაც არ იყო ჩატარებული.

დაუსჯელი გამფლანგველები,
უყურადღებოთ მიტოვებული სკოლები
(ლუქსემბურგი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

გასული წლის ივლისიდან ლუქსემბურგის განათლების განყოფილების გამგედ ალ. ქერუნოვი იყო.

ქერუმოვი არ იცნობდა და ვერც უწევდა სკოლებს ოპერატიულ ხელმძღვანელობას. მან სოფ. კაზრეთის არასრული საშუალო სკოლის გამგის პრ. კვასხაძეს დაავალა, რათა უკანასკნელს გაეწია ყოველგვარი დახმარება სოფ. ბალიჩის 4 კლასიანი სკოლისათვის, ვინაიდან თითონ არ უნდოდა „თავი შეეწუხებია“, სოფ. კაზრეთიდან ერთნახევარი კილომეტრით დაშორებულ სოფ. ბალიჩში მისვლით იქ ადგილობრივ სკოლის მდგომარეობის გამორკვევით.

ამის შემდეგ სოფ. კაზრეთის სკოლის გამგე პრ. კვასხაძე გაიძახის: „ბალიჩის 4 წლედზე განათლების განყოფილებიდან მე ვარ მიმაგრებული და მე მევალება გავუწიო მეთოდიური დახმარებაო“.

სინამდვილეში პრ. კვასხაძეს არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია სოფ. ბალიჩის სკოლისათვის, რის გამოც 6 თვის განმავლობაში 4 წლედს არ მჭონია სამუშაო პროგრამები, არ ტარდებოდა მოწაფეთა სისტემატიური აღრიცხვა და სხვ.

რაიონის განათლების განყოფილება არღვევდა სატარიფო სისტემას, თვითნებურად უნიშნავდა ხელფასს მასწავლებლებს. მაგ., — სოფ. ბალიჩის 4 წლედის მასწავლებელი ვალ. ყაზაროვი და დ. ბერიძე არიან 7 წლედის ცოდნით, ხელფასს კი ღებულობენ მე-8 კატეგორიით. კაზრეთის სკოლის მასწავლებელი მ. ცინცაძე (კვასხაძის ცოლია) 7 წლედის ცოდნით, ხელფასს ღებულობს მე-8 კატეგორიით და სხვ.

აღსანიშნავია, რომ როცა სოფ. კაზრეთის სკოლის გამგე პრ. კვასხაძეს სათანადო კომისიის დასკვნით აღმოაჩნდა 1.000 მანეთის გაფლანგვა, ახალი სასწავლო წლის მზადების საქმისადმი სრული უმოქმედობა, განათლების განყოფილების ყოფილი გამგე შეეცადა როგორმე გაემართლებინა კვასხაძე. ამ მიზნით ის კაზრეთშიც ჩავიდა, რათა ადგილობრივ „მოეკეთებინა“ კვასხაძის გამართალება. მაგრამ ეს ვერ მოახერხა და გაიქცა რაიონში.

სოფ. ბოლინის — **ხაჩინის** სომხური არაასრული საშუალო სკოლის დირექტორ **დ. ზატინიანს** (საკ. კ. პ. (ბ) წევრია) კომისიის გამორკვევით აღმოაჩნდა 1000 მანეთი გაფლანგვა, — მანაც დასტოვა სკოლა და ორი თვეა აღარ ჩანს. ეს საქმეები დღემდე უყურადღებოდაა დარჩენილი.

მიმდინარე წელს მაისში განათლების განყოფილებასაც ეწვია გამომრკვევი კომისია იუმედოკის (ბანკის დირექტორია) თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ თვით განათლების განყოფ. გამგის **ალშრაფ ძერუმოვს** აღმოუჩინა 12 ათასი მანეთის გაფლანგვა. საქმე გადაეცა რაიპროკურორს ამხ. ივ. პაპაიანს, მაგრამ უკანასკნელმა დროზე არ მიიღო ზომები და გამფლანგველი ქერუმოვიც გაიქცა რაიონიდან. იგი დღის შემდეგ ქერუმოვი ჩამოვიდა ლუქსემბურგში. დარჩა რამოდენიმე დღეს და ერთ მშვენიერ ღამეს თავისი ცოლით და ბარგ-ბარხანით სადღაც მიიმალა.

რაიპროკურორი ამხ. **პაპაიანი** ლაპარაკობს: „ჩვენ გავიგეთ, რომ ქერუმოვი ტფილისში დახვრნობს, ორჯერ მივწერეთ ტფილისის სისხლის სამართლის მილიციას ქერუმოვის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ პასუხად მივიღეთ, ვითომდა ქერუმოვი ტფილისში არ იმყოფებოდეს“.

საინტერესოა, ნუთუ პროკურორს და სასამართლოს არ შეეძლოთ თავის დროზე მიეღოთ ზომები გამფლანგველებისა და სახელმწიფო ქონების მტაცებლობის წინააღმდეგ, სანამ ისინი რაიონიდან გაიქცეოდნენ?

რაიონის პროკურორი ამხ. პაპაიანი, თავს იმით იმართლებს, ჩემთვის „ოფიციალურად“, წერილობით არ უცნობებიათო. პროკურორის ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება ყოველად გაუმართლებელია. ამისათვის მას პასუხიც უნდა მოეთხოვოს. გამფლანგველი და ახალი სასწავლო წლის მზადების ჩამშლელი სკოლის დირექტორები კვასხაძე, ზატიკიანი და განათ. განყოფილების ყოფ. გამგე ქერუმოვი დღემდე არ არიან დასჯილნი.

აღსანიშნავია, რომ განათლების განყოფილების განახლებულმა ხელმძღვანელობამ (ამხ. შლეიგერი) — ვერ შეძლო ახალი სკოლების ნაცვლად სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში გარდატეხის მოხდენა. არაა მოწესრიგებული მასწავლებლთა დანიშვნა, სუსტად მიდის სასკოლო ბინების მშენებლობა, არ ეძიცვა უყურადღება შეკეთებას და სხვ. მაგ. სოფ. კაზრეთის სკოლის შენობა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. ხანდახან განათლება და გასათეთრებელია. წვიმისაგანაა ჩამონგრეული კედლები. საწყობში სკოლის ბინახანული, მოწაფეებისა და მასწავლებლების სურსათი, კიბეებიდან ჩამონადენი წყლით ფუქდება, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას. ფიზიკის კაბინეტი და სამკითხველო ერთ ოთახშია მოთავსებული: სახაგშო ბაღს და სანოვაგის საწყობს ერთი ოთახი აქვს დათმობილი.

ლუქსემბურგის პარტიაკომმა და რაიალსრულკომმა გადამჭერეი ზომები უნდა მიიღონ გამფლანგველებისა და მათი მფარველების წინააღმდეგ.

განათლების განყოფილების ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა გააძლიეროს სასწავლო წლისათვის მზადების ტემპები.

მიშა საკაკული.

მოსამართლე უნდა გასამართლდეს

ამბობენ, როცა ორი გაქანებული ცხენი სხვადასხვა გზით რომისაკენ მიაქროლებდნენ ორ მხედარს; სპარტაკს და რომაელს (პირველს მონების აჯანყების დასა ჩქარეწლად, მეორეს—აჯანყების ჩასაქრობად), ამ ამბის მოწმემ, რომის კეისარმა ასე სთქვა: „ახლა ცხენებზეა დამოკიდებული რომის ბედღბალი“-ო.

ერთი წელთით ადრე ბერძენ ბერბერაშვილს ეს სიტყვები, თელავის სახალხო მოსამართლე **ვეფიოქმაზაშვილს** მაინც არაფრად არ გამოადგება: რადგან სახელმწიფო ფულის — **ხუთი ათას ცხრაას-ოთხმოცდა ერთი მანეთის** და 22 კაპ. ბედღბალი სრულებით არ იყო დამოკიდებული თიანეთის რაიაღმასკომის „ორან“ ცხენზე, რომელმაც დილის ათ საათზე ფერო ადრე ვერ მიაყვანა (და ამით „დააგვიანა“) თიანეთის აღმასკომის სამოქალაქო საძიებელი თელავის სასამართლოში დანიშნულ პროცესზე.

გოჯიაშვილ ივანე ვასილის-ძე თავიდანვე ქრთამების და კომბინაციების მოყვარული კაცი იყო: მაშინ იგი თიანეთის სახ. გამომძიებლის მდივნად მუშაობდა, როცა სოფელ ზარიძინთა-კარის მეცხოვრეს, ბანდიტების დაფარვისათვის პასუხისგებაში მიეცემულს, ადამიანა **ჯანგირაშვილს, ქრთამად გამოართვა ათასხუთასი** მანეთი, ფულად, ხუთი ფუთი ყველი, ორი ფუთი მატელი, ორი ცხვარი, ორი **გირვანქა ერბო** და განთავისუფლებას შეპირდა. სიტყვის კაციც ასეთი უნდა: შეპპირდა და შეასრულა. **მალე ივანე გოჯიაშვილი ტფილისში გაეგზავნა დ. პროკურორ ბესელიასგან ჯანგირაშვილის** განთავისუფლების ქაღალდი ჩამოტანა.

ჩვენ იმაზე არ შეეჩერდებით, რომ **ივანე გოჯიაშვილმა** ქრთამები სხვებსაც ბევრი გამოართვა, არც იმაზე, რომ სასამართლოს განაჩინით **იორდანე პატუაშვილის** კონფისკაციაქმნილი სახლი „კატრის ფასად“ მიითვისა, არც იმაზე მოვაწყენთ მკითხველს, თავს, რომ **ივანე გოჯიაშვილს** კავშირი ჰქონდა ანტი-საბჭოთა ელემენტებთან, ვაჭრებთან, კულაკებთან (ლადო კაკაურიძე, ნიკოლოზ ნადიბაიძე) და მათთან ქეიფში ატარებდა დროს, ჩვენ გვინდა შეეხოთ მისი „მოღვაწეობის“ იმ პერიოდს, როცა ის მუშაობდა თიანეთის აღმასკომის მდივნად.

ეს იყო 1933 წლის მარტში. რეგიზიამ აღმოაჩინა, რომ ივანე გოჯიაშვილზე ირი ცხებოდა სხვადასხვა დროს წაღებული და ანგარიშ-წარმოუდგენელი საქვითანგარიშო თანხები **4.205 მან. 28 კაპ.** რაოდენობით. დაიწყო გამოძიება. შესდგა ექსპერტიზა. აღმოჩნდა, რომ 1932 წლის სამ მარტიდან 1933 წლის 16 თებერვლამდე **გოჯიაშვილს** აღმასკომიდან ანგარიშ ქვეშ მიეღო **10672 მან. და 23 კაპ.** აქედან მას წარმოუდგენია გასამართლებელი საბუთები 6.466 მან. და 65 კაპ. ეს თანხა ბუხჰალტერიას მისგან ჩამოუწერია. დარჩა მასზე 4.205 მან. 58 კაპ. აღნიშნულ დავალიანებას დაემატა სხვადასხვა ორდერით ჩამოწერილი თანხები, რომლებიც შესულია **6.466 მან. და 65 კაპ.** და რომელიც საექსპორტო კომისიამ სცნო უკანონო და ყალბ საბუთებად.

მიხვდა რა ივანე გოჯიაშვილი, რომ საქმე ცუდად წაუვიდა, ჩვენი დროის ამ მოსე მწერალმა თავის დახსნა ისეც და ისეც ყალბი გზით ირჩია.

მისი მეგობრების რჩევით და წყალობით მან მოახერხა, რომ საქმე თიანეთში არ გარჩეულიყო. საქმე გადასცეს თელავის სახალხო სასამართლოს, სადაც ივანე გოჯიაშვილმა წარმოადგინა ყალბი ექსპერტიზის აქტი, შედგენილი თიანეთის ყოფ. მოსამართლე (ამჟამად მოხსნილია სხვადასხვა კომბინაციისათვის) არჩილ აბრამიშვილის მიერ, რომლის საშუალებით მან „დაამტკიცა“ თითქოს მასზე არავითარი დავალიანება არ ირიცხება. (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ **აბრამიშვილის** „ექსპერტიზას“ ახდენდა სამი კაცი, აქედან ორს ბუხჰალტერიის არაფერი არ გაეგებოდა და მათ შორის ერთი სასამართლოს მდივანი იყო).*

თელავის სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ მის განკარგულებაში იყო სპეც. საექსპერტო კომისიის აქტი. საიდანაც მტკიცდებოდა, რომ **გოჯიაშვილს გაფლანგული ქონება 5.981 მან. 72 კაპ.** დაეყრდნო გოჯიაშვილის მიერ წარმოდგენილი საექვო ექსპერტიზის აქტს, არ დაუცადა სამოქალაქო მაძიებლის ჩამოსვლას, გაარჩია საქმე, როგორც იტყვიან, „ღორის გაშვებამდე“ და გაამართლა გოჯიაშვილი!

სამოქალაქო მაძიებელი, რომელიც განაჩენის კითხვის დროს (დილის 10 ს.) გამოცხადდა თელავის სახალხო სასამართლოში, მოსამართლე **ფვერიკმაზაშვილმა** ასე ანუგეშა: „თქვენი ცხენი „ოჩანი“ რომ იყოს, ჩემი რა ბრალია; საქმის მოგება (!) თუგანდოდა, დროზე გამოცხადდებოდიო“

სახელმწიფო თანხების მიმთვისებლებზე ზვიდი აგვისტოს კანონი ასეთი ტონით არ ლაპარაკობს!!

ფვერიკმაზაშვილის მსგავს „ოქროპირებს“ მართებთ უფრო ფრთხილად მოეკიდონ რევოლუციური კანონიერების საქმეს

განაჩენი აღნიშნულ საქმეზე უზენაეს სასამართლომ დაადგინა და საქმე ხელმეორედ განსახილველად გადასცა თიანეთის სახალხო სამართლოს.

ჩვენ მოვითხოვთ რესპუბლიკის პროკურატურამ პასუხისგებაში მისცეს სახელმწიფო ფულების მფლანგველების მფარველები **ფვერიკმაზაშვილი, არჩილ აბრამიშვილი** და სხვები. რომლებიც სახელოს ტუტენენ და ძირს უთხრიან რევოლუციური კანონიერების ურყევად გატარებას.

ევ. ჯიჯეიშვილი.

მწერალთა ყრილობის წინ
საისტორიო თარიღი

საბჭოთა მწერლების ყრილობა—საბჭოთა კავშირის ხელოვნების წარჩინებულ ოსტატთა შეკრებაა. მან უნდა თავისი ავტორიტეტული სიტყვა სთქვას და პრაქტიკული ნაბიჯი გადადგას საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის ახალ ეტაპზე, ერთხელ და სამუდამოთ აღიკვეთოს მწერლობაში „პროტექციონიზმი“ და ფართო გზა მისცეს იმ მწერლებს, რომლებიც საბჭოთა პლატფორმაზე დგანან და თავიანთი ნიჭით საბჭოთა ჯერ არ ნახულ და არ გაგონილ აღმშენებლობას ერთგულად ემსახურებიან.

ყოველ საბჭოთა მწერალს უნდა ახასიათებდეს: ნიჭი, მაღალი კულტურა და შეიარაღებული უნდა იყოს მარქსისტული მსოფლმხედველობით, უკულტურო მწერალი საბჭოთა სინამდვილესათვის არარაობას წარმოადგენს და ის უძლურია ძველი კლასობრივი საზოგადოების ახალ უკლასო საზოგადოებათა გარდაქმნაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

უმეტეს შემთხვევაში, დღევანდელი მწერლობა გაასკეცებულ ენერგიით წარმოიტან ოქმენებლობას ვიდარ ეწევა. დღეს რომ დასწერ, ხვ. რამოდენიმე ხნის განმავლობაში აღარ ვარგა. ის აუარებელი გიგანტები, რომლებიც ღღითი ღღე სოკოსავით მრავლდება ახალ-ახალ ბიულეტენებს მოითხოვენ. საბჭოთა მწერალი ამ შემთხვევაში ოსტატური ხერხებით უნდა ჰქმნიდეს მომეტინტალურ პოეზიას და მაგალითს ძველევდეს ჩვენს მომავალ კადრებს.

მე, ორი სიტყვით მინდა შეეხო **ათეიზმის** გაღრმავებას საბჭოთა მწერლობაში.

უაზრობა და სიბეცე, იქნებოდა იმაზე ლაპარაკი, რომ ანტირელიგიური პოეზია და ბელეტრისტიკა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდეს თანამედროვე ეტაპზე. პირიქით, სწორედ აქ ესაჭიროება საბჭოთა მწერალს სიფხიზლე და ჭკუა გონების გამახვილება, რათა მტერი ჯვარრით არ მოგვეპაროს და ანაფორაში დამალული შუბით სასიკვდილო ჭრილობა არ მოგვაყენოს.

მე, როგორც ანტირელიგიურ ფრონტზე მომუშავე მწერალი სულით და გულით ვუერთდები ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მოწოდებას და გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებ საბჭოთა ლიტერატურის ფრონტზე.

ერთი წლის წინად საქართველოში უდიდესი ისტორიული ეპიზოდი მოხდა, რომელიც ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში სრულიად არ აღნიშნულა. ეს გახლავს ბეზერჩუკელ კოლმეურნეთა ისტორიული მოგზაურობა საქართველოში, კერძოდ გურიაში და მათი მითითებები ჩვენს ნაკლსა და მიღწევებზე, რაც წითელი თარიღით აღინიშნა საქართველოს კოლმეურნეთა მოძრაობის ისტორიაში. ეს რთული თემა ანტირელიგიური განხრით დავსწერე: პოემა ფრაგმენტები „წერილები ბეზენჩუკელებს“, რომელიც მზადაა დასაბეჭდად და ბეზენჩუკელებს უნდა გადაეგზავნოს.

ვამზადებ ანტირელიგიურ ლექსთა კრებულს და მზად მაქვს საბავშო ახალი იგავ-არაკები.

მ. უზნაძე.

სარემონტო ქარხნის სალიტერატურო წრე
მწერალთა ყრილობისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1933 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე —მწერალთა კავშირმა —გასული წლიდან გაშალა ინტენსიური მუშაობა მუშათა სალიტერატურო შემოქმედებითი წრეების გაფართოებისა და გაძლიერებისათვის.

ამ მიზნით, ტფილისის უდიდეს წარმოებებში ჩამოყალიბდა რამოდენიმე ახალი წრე. გადასალიდა ძველი წრეები, გამოყოფილი იქნა ხელმძღვანელებად ქვალიფიციური მწერლები.

ამ წერილში ჩვენ შეეხებით სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანასთან არსებულ სალიტერატურო წრის მუშაობას.

როგორც ვიცით, სარემონტო ქარხანა ტფილისის ერთერთი უდიდესი წარმოებაა. იგი აერთიანებს 2 დიდ ქარხანას: ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ ქარხნებს. ორივე ქარხანაში ირიცხება დაახლოებით 5.000 მუშა.

ამიტომ გასაგებია ის ყურადღება, რომელსაც მწერალთა კავშირი იჩენდა აქ არსებულ სალიტერატურო წრისადმი.

1934 წლის 1 იანვრიდან ქარხანასთან არსებობდა ორი წრე. ხოლო იანვრიდან ოთხივე წრე გაერთიანდა.

წრეში ირიცხებოდა 25 ძველი და დამწყები მუშა-მწერალი. წრის მიზანს შეადგენდა არსებული კადრების ლიტერატურული კვალიფიკაციის ამაღლება და მუშათა წრიდან ახალი ძალების გამოვლენება.

წრის მუშაობას საფუძვლად ედო მწერალთა კავშირის სოორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამა.

მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: 1. ლიტერატურის თეორია (პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, კრიტიკის საკითხები) და მეორე —წრის წევრთა შემოქმედებითი პრაქტიკა (წრის წევრთა ლიტერატურული პროდუქცია).

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩვენი და უცხოეთის კლასიკოსების ნაწარმოებების შესწავლას., მათ მიღებულებულ საბრძოლველად და არა „მიმაყავთ“ ცხენები „საჯდომად“. უფროსი ვაჟის თვალებში მამის სიმტკიცე და ცეცხლი ანთია, ეტყობა იგი არავითარ შემთხვევაში არ დათმობს დროშას. ბელადის მეუღლეს თავი ჩაუფუნავს, მაგრამ იგრძნობა, რომ ისიც მებრძოლია და გორკისებური დედაა თავისი შვილებისა.

აღსანიშნავია მხატვრის მიერ ნიკო ლორთქიფანიძის „დანგრეული ბუდეების“ და განსაკუთრებით ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ დასურათება. შტენბერგს

„შმიმუნ, ხორავათი“!

ორჯონიკიძის სახ. რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოსთან ჩამოყალიბდა მსროლელ ქლთა წრე.

სურათზე: წრის წევრები სროლაში ვარჯიშობისას.

ხალხით გამართული დარბაზის სცენაზე აღმართულია ტრიბუნა. დარბაზში ისმის ხმაური და ლაპარაკი უცხო ენაზე. უჩვეულო აუდიტორია შეკრებილა შენებელთა კულბში. ტრიბუნაზე ადის მზით დამწვარი, თეთრ ხალათიანი, მხარ ბეჭიანი ახალგაზრდა.

— შმიმუნ, ხორავათი!

— დაიწყო ახალგაზრდამ. ასურელები, რომელთაც წარსულის დიდი კულტურული მემკვიდრეობა მეოცე საუკუნემდე მოგვიტანია, მიმობნეულნი ვართ მსოფლიოს ყველა კუთხეში. ყველგან შეხვდებით ასურელებს — სპარსეთში და საფრანგეთში, ამერიკაში და უკრაინაში, ურმიაში და ტფილისში, ერაყში და თბილისში. იმპერიალისტების ინტერესები იქ გადაეკვეთნენ ერთი-მეორეს, სადაც ჩვენი ეროვნული მოსახლეობა უფრო კომპაქტური იყო. სპარსეთში აღარ გვედგომებოდა, ერაყში გვავიწროებდნენ და ბოლოებული გავხდით გავფანტულიყავით დედამიწის ზურგზე.

ბევრმა თავი შეეფარეთ დიდ საბჭოთა კავშირს; აქ ეთოვეთ ნამდვილი თავისუფლება, აქ ფართოდ გაშალა ფრთები ჩვენმა ალაპორიანმა და ეროვნულმა შეგნებამ. წლებმა განვლეს მას შემდეგ, რაც ჩვენ აქ მოვედით და შეეიყვარეთ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლება, შეეიყვარეთ ჩვენი, დიდი საშობლო — სოციალიზმის შშენებელი ქვეყანა. დიდი ლენინის პარტიას ჩვენ მივყვართ ახალი, ლამაზი და თვალწარმტაცი მომავლისაკენ. საყვარელი ბელადი და დიდი მასწავლებელი სტალინი მეთაურობს ჩვენი ქვეყნის წინსვლას და ეს არის მომავალ დიად გამარჯვებათა თავდები.

ასე ლაპარაკობდა 13 აგვისტოს ასურელთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე თეთრ ხალათიანი ასურელი ახალგაზრდა, წითელი პროფესურის მოსკოვის ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის მსმენელი ამხ. ბიტიფუნანი. იგი ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რატომ მოიწევიან საქართველოში მოსახლე ასურელების რესპუბლიკური კონფერენცია, როგორ ცხოვრობენ ასურელები ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორ თამაშობენ ასურელთა ეროვნული ინტერესებით იმპერიალისტები, როგორ ეკოხმეიერ სიბეჩავეს გახიცდიან ასურელი მშრომელები, რა მახინაციებს მიმართავს, ურმიაში ფეოხმრთხმული ასურელთა უკურთხი მეფე და მათი სარწმუნოებრივი „მამათმთავარი“ ასურელი პატრიარქი მარშიმუნი, როგორ ცდილობს იგი სახარებითა და ქრისტეს ჯვარით მოიპოვოს გავლება საბჭოთა კავშირში მოსახლე ასურელებზე და გიახადოს ისინი, როგორც თვისი, ისე თავისი შეგობრების — ინგლისელი და სხვა იმპერიალისტების ლუკმად.

ორატორმა კონფერენციი დახასიათა და მოაცხადა. აირჩიეს ასურელთა სრულიად საქართველოს კონფერენციის სპეკაო პრეზიდიუმი საკავშირო კომპარტიის (ბ) ც.კ.-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობით და ამხ. სტალინის მეთაურობით, აირჩიეს აგრეთვე ამხ. ტელმანი, ლ. ბერია და ფ. მახარაძე. ამხ. სტალინის ხსენებაზე დარბაზში მკუხარე ტაში გაისმა

აირჩიეს საქმიანი პრეზიდიუმიც. კონფერენციამ დაიწყო მუშაობა. მთავარია ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. 1934 წლის დასაწყისამდე არ არსებობდა ასურელთა გამაერთიანებელი ერთი საკავშირო ორგანიზაცია. 1934 წლის იანვარში ჩამოყალიბდა „მშრომელ ასურელთა საკავშირო საზოგადოება — „ხაიათა“. საქართველოში გადაწყვეტილია ამ საზოგადოების ფილიალის მოწყობა და გაშალა ფრთები ჩვენმა ალაპორიანმა და ეროვნულმა შეგნებამ. ეს ორგანიზაციული კონფერენციის ამოცანა.

„ხაიათას“ ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელმა კონფერენციას „გააცნო საზოგადოების მუშაობა.

საზოგადოების განყოფილება უსათუოდ უნდა იყოს საქართველოში. ამას მოითხოვდენ ასურელი კოლმეურნეები ფუხარანდან და ყარაიადან, ასურელი მუშები „26 კომუნარის“ სახ. ქარხნიდან და ბათომის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნებიდან. ამას მოითხოვდენ ასურელი მშეიღლები, კომკავშირელები და დიასახლისები

ბოლოს, აზრთა გაცვლა — გამოცვლისა და მისალმებათა მოსმენის შემდეგ, კონფერენციამ აირჩია „ხაიათას“ საქართველოს განყოფილების გამგეობა.

— „შმიმუნ, ხორავათი!“ (მოისმინეთ, ამხანაგებო!). საბჭოთა კავშირში ასურელი მშრომელები იბრძვიან ახალი ცხოვრებისათვის, ისინი არიან დიდი სოციალისტური ქვეყნის თანასწორუფლებიანი შვილნი. ისინი ქმნიან ახალ კულტურას, ნაკოთალურს ფორმით და სოციალისტურს შინაარსით.

„შმიმუნ ხორავათი“, ბურჟუაზიული ქვეყნების ასურელს.

დ. ლოგთაძე.

ა.-პ. სასროლო შეჯიბრების შედეგები

მასობრივი სროლით დასრულდა ამიერკავკასიის სასროლო შეჯიბრებანი მესამე კომკავშირული ლაშქრობის დასამთავრებლად.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამმა გუნდმა (№ საწყობი, კალინინის სახ. ქარხანა—ტფილისი, მაუდის ფაბრიკა—ჟუთაანი) და აზერბაიჯანის ორმა გუნდმა (ქარხანა „ბაკინსკი რაბოჩი“ და სტამბა „კრასნი ვოსტოკი“). სომხეთს თავისი გუნდები არ გამოუგზავნია, რაც იმით ახსნეს, რომ საწარმოო გუნდების შედგენა ვერ შეეძელითო. მაგრამ ეს გამართლება არ არის, რადგან მათ უფლება ჰქონდათ გამოეგზავნათ რაიონების ნაკრები გუნდები.

ზემოთაღნიშნული ხუთი გუნდი იბრძოდა უფლებისათვის გაგზავნილი ყოფილიყვნენ საკავშირო სასროლო ოლიმპიადაზე. თვითეულ გუნდში შედიოდა ოთხი პირველი საფეხურის ვოროშილოველი მსროლელი. სამი პირველი კატეგორიის მსროლელი და ორი ოსტატი. შეჯიბრება ჩატარდა შემდეგი სახის სროლით: მცირეყალიბიანი შაშხანებიდან 50 მეტრზე გაზამრიდებით, 100 და 200 მეტრზე—ჩქარი, სბრძოლო შაშხანებიდან 300 მეტრზე გადასვლით და ფყანრი—600 მეტრზე, შემდეგ—სბრძოლო და მცირეყალიბიანი სტანდარტი (ფეხზე დგომით, ჯდომით, დაჩოქილი, მწოლარე) და სხ.

დაკავებული ადგილების მიხედვით ყველა სახის სროლაში პირველი ადგილი დაიკავა № საწყობის გუნდმა, მეორე ადგილი—კალინინის სახ. ქარხნის გუნდმა მესამე—ქარხანა, „ბაკინსკი რაბოჩის“ მაუდის ფაბრიკის გუნდმა.

ამგვარად, საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მოიპოვა პირველმა სამმა გუნდმა.

რესპუბლიკების მიხედვით პირველი აღმოჩნდა საქართველოს ,ადგილების ჯამი, გაყოფილი გუნდების რაოდენობაზე. ყველა სახის სროლაში პირველი ადგილები დაიკავეს შემდეგმა მსროლელებმა:

პირველი საფეხურის ვოროშილოველი მსროლელის კატეგორიაში— კომენიჩიკინამ („ბაკინსკი რაბოჩი“),—1 ადგილი და კრიფჩკოვმა (კალინინის სახ. ქარხანა), მეორე ადგილი, მეორე. საფეხურის ვოროშილოველი მსროლელის კატეგორიაში—მარგუნოვმა („ბაკინსკი რაბოჩი“), 1 ადგილი და კოზლოვსკიმ (კალინინის სახ. ქარხანა) მე-2 ადგილი.

ოსტატების კატეგორიაში — პავლოვმ (№ საწყობი) 1 ადგილი. მელაძე (კალინინის სახ. ქარხანა). მე-2 ადგილი, ა. კოსნაროვმა („ბაკინსკი რაბოჩი“) მე-3 ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სროლის ცალკეულ სახეთა მხრით ამ წლის მაჩვენებლები აღემატება შარშანდელისას, მიუხედავად იმისა, რომ წელს შეჯიბრებაში ახალგაზრდა მსროლელები ღებულობდენ მონაწილეობას. მაგრამ სასროლო საქმის ზრდის სისუსტეს უნდა მიეკუთვნოს მოხვედრილი ქულების ნორმის არამთლიანად შესრულება. სბრძოლო შაშხანით სროლის შედეგები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

უნდა ითქვას, აგრეთვე, რომ აზერბაიჯანის გუნდები, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს მიზეზით, შეჯიბრებაზე გამოცხადდენ სბრძოლო იარაღით ცუდათ შეიარაღებულნი, ნაკლებად გაწრთვნილი და შეჯიბრების პირობებს და პროგრამის სრულიად გაუცნობელი, რაც, უეჭველია, დაეტყო მათ მიღწევებს.

საკავშირო სასროლო სპარტაკიადაზე მომავალი გუნდები 7 აგვისტოდან შეუდგენ წვრთნას. ისინი შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრებიან 13 აგვისტოს.

პ. ოვსიანიკოვი.

სპეციალისტების კონფერენცია ზემო-სვანეთში

აგვისტოს ბოლო რიცხვებში, საქართველოს ინჟენერ - ტექნიკოსთა ბიურო აწყობს ტყის მრეწველობის სპეციალისტთა III კონსულტაციო-კონფერენციას ზემო-სვანეთში.

ზემო - სვანეთი ცნობილია, როგორც სატყეო მრეწველობის ყველაზე დიდი და ყველაზე უფრო დამახასიათებელი უბანი. აქ წარმოება დიდძალი ხე-ტყის დამზადება მთიან რელიეფში და ტექნიკური თვალსაზრისით რთულ პირობებში.

კონფერენცია - ექსკურსიის წევრები აქ გაეცნობიან ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების ახალ ტექნიკას და ტყის ექსპლოატაციის თანამედროვე წესებს.

ექსკურსიის შემდეგ გაიმართება კონფერენციის სხდომა სვანეთში ტყის დამუშავების საქმეში ახალ გაუჯაბუნებულ და რაციონალურ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

კლეხანოვის კლუბი ხსნის პროფკურსებს

პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბი, რომელიც მომსახურებას უწევს უმთავრესად ლენრაიონის საწარმოთა მუშებს, დღეს ხსნის პროფმუშაკების მოსამზადებელ მოკლევადიან კურსებს.

კურსებზე მიიღებენ იმ პროფმუშაკებს, რომელთაც მთლიანად გადახდილი აქვთ საწევრო ანარიცხები და ამჟამად იმყოფებიან შვებულებაში. მსმენელებისათვის კლუბი აწყობს სპეციალურ დასასვენებელ კუთხეს.

კურსებზე მეცადინეობა გაგრძელდება ორ კვირას. ჯგუფში მიღებული იქნება 35 კაცი. აქედან 20 ორთქლმავლების სარემონტო ქარხნიდან და 15 ჯაგონების სარემონტო ქარხნიდან.

მზადება ახალგაზრდათა მე-20 საერთაშორისო დღისათვის

ტფილისის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ახალგაზრდათა მეოცე საერთაშორისო დღის ჩასატარებლად. აღნიშნული დღე ჩატარებული იქნება პირველ სექტემბერს. ამ დღისათვის კომკავშირის საქართნო უჯრედებმა ერთამენთს შორის გამოაცხადეს შეჯიბრება საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის უკეთესად გაწლის, ტექნიკის დაუფლების, წრეებში ყველა კომკავშირელის ჩაბმის, პოლიტსწავლების ფართოდ გაშლის და სხვ. შესახებ.

მუშათა კლუბებში მოწყობილია ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისადმი ბეჭდის საჩვენებელი დაფები, რომელზედაც შეიკვეთ ცალკე უჯრედების მუშაობის მაჩვენებლები.

სურათზე: მაჩვენებლების დაფა სტალინის კლუბში

მარგანეცი

11 აგვისტო

სსაკავშირო კრედიტ-ეკონომიკური ბანკის ბაკინსკის ტ. ნ. ბ. ბ. (ტ.ნ.ბ.ბ.)

ბ ი ბ ლ ი ო	ფაქტიური	%
3.330	3.344	100,4

ვაგონების მიწოდება

ქარხნის ოქ.	ქიაზოდეს	დაიტვირთა
192	173	173

სურათზე: დამსვენებლები სადილობენ.

ტფილისში მოწყობილია ოთახი სანატორიუმ „ბარქაშ“ ავადმყოფების შესაფერ ტანსაცმლეულის, სარეცხისა და ბინის სადეზინფექციოდ. ოთახში ინსტრუქტორები - პიროტეხნიკი და ბორტმექანიკოსები აქ ისვენებენ, ათვალიერებენ ღამეს და ატარებენ დავიუფალ დღეს სამუშაოზე გასვლამდე.

სანატორიუმში ავიაციის მუშაკებს უწევენ საექიმო დახმარებას, თვითეულ მათგანს სურვილისა და ჯანმრთელობის ძდგომარეობის მიხედვით უწერენ ინდივიდუალურ მენიუს. სანატორიუმთან მოწყობილია საერთო სასადილო, დასასვენებელი ოთახი, საჭადრაკო და საშაშო კუთხე, ინდივიდუალურად დასასვენებელი ოთახები, აბაზანები და სხვ.

თეთრი აკაცია საგზაო მშენებლობაში

სპეციალისტთა დასკვნით თეთრი აკაცია, საუკეთესო საშენ მასალას წარმოადგენს ტყის ჯიშთა შორის. აკაცია თავის სიმაგრით დიდათ აღარ ჩამორჩება მუხას, უპირატესობა კი აქვს მით, რომ სწრაფად იზრდება.

აქამდე აკაციის მნიშვნელობას არ აფასებდენ, ახლა კი მას დიდ ყურადღებას აქცევენ და სურთ რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენონ. აკაციის ფართოდ გამოყენება გადაწყვეტილია კერძოდ საგზაო მშენებლობაში ორ მხრივ, ერთი—გზების გაშენებისა და მეორე —ხიდების მშენებლობაში ხე-ტყის მასალად გამოყენების მიზნით.

ამ საქმეში დიდ ინიციატივას იჩენენ „ავტოგზის“ ორგანიზაციები. მაგალითად, ტფილისში, გადაწყვეტილია აკაციით 30 კილომეტრის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზატკეცილის გამშენებლა, რასაც „ავტოგზა“ კისრულობს.

მახარაძის რაიონში (ყოფ. ოსურეთი) კი ამ საქმეს უფრო ფართოდ მოკიდეს ხელი. აკაციის საგზაო მშენებლობაში გამოყენების საკითხი სპეციალურად დაამუშავა რაიონის ავტოგზის ორგანიზაციამ და გადაწყვიტა, რომ ამ მხრით გაამწვანოს შემდეგი გზები: ნატანები — ნაგომარის, სილაურის, ჯუმათის, მელქედურის და შავიზღვის ტრაქტზე უბანი ქ. მახარაძიდან — მდ. ჩოლოქამდე.

ამასთან, აკაციისაგან საშენ მასალის რესურსების შექმნის მიზნით, რაიონის „ავტოგზის“ ორგანიზაციამ სასურველად სცნო, რათა მიწის თავისუფალი ფართობები გამოყენებულ იქნას აკაციის ტყის გასაშენებლად.

მახარაძის რაიონის „ავტოგზა“ კარგ მაგალითს იძლევა; მას დანარჩენ რაიონის „ავტოგზის“ ორგანიზაციებმაც უნდა მიჰბაძონ.

გადაიღეთ სტალინის კლუბის მუშაობის მეთოდები

სტალინის სახელობის საცდელ-საჩვენებელმა კლუბმა სანიმუშოდ დააყენა მუშათა დასვენების საქმე. თავისუფალ საღამოებს, ტფილისის საწარმოთა საუკეთესო დამკვრელები აქ ატარებენ კულტურულად და ხაყოფიერად. კლუბმა მათთვის მოაწყო საზაფხულო ფარდული — სამკითხველო, დასასვენებელი და გასართობი კუთხეები.

კლუბის საზაფხულო ბაღში ერთი კუთხე დათმობილი აქვს ატრაქციონებს. აქ მოდიან კლუბის სტუმრები — მუშები,

მუშა-ქალები და მათი ბავშვები გასართობად. მუშები ბაღში ისვენებენ არა მარტო საღამოობით, არამედ მთელი დღის განმავლობაში. მათთვის კლუბთან მოწყობილია მშვენიერი სასადილო.

მუშათა კულტურული დასვენების ძიებაში სტალინის სახ. კლუბის გამოცდილება უნდა გადაიღოს მუშათა სხვა კლუბებმა.

სურათზე: მუშები ერთობიან კარუსელზე.

ახალი წიგნები

„ფედერაციის“ მიერ ივლისში გამოცემულია შემდეგი ახალი წიგნები:

ლ. ქიაჩელი—ტარიელ გოლუა (მეხუთე გამოცემა). ტირ. 5.000 ფ. 4 მან.

პ. ჩხეიძე — ნაბიჯები; ტირ. 5.000. ფასი 10 მან.

ლევ. ასათიანი—ლიტერატურა და სხვა ტირ. 3.000, ფასი 3 მან.

მეზადეგა ავიაციის დღისათვის

ტფილისის მთელი რიგი მუშათა კლუბები ჩაებნენ ავიაციის დღისათვის მზადებაში. ემზადება ამ დღისათვის ვოროშილოვის სახელობის მუშათა კლუბიც. 16 და 17 აგვისტოს იმ დიდ წარმოება-დაწესებულებებში, რომლებიც შიმაგრებულნარიან ვოროშილოვის კლუბზე (მბეჭდველების კავშირი, ლიტოგრაფია, სტამბა № 2, საშაქარლამა ქარხანა, მურაბის ფაბრიკა, სახბანკი და სხვ.) წაიკითხავენ მოხსენებებს ავიაციის მხაშველობაზე და საბჭოთა ავიაციის მიღწევებზე; საღამოთა გაიმართება კონცერტები.

ავიაციის დღეს, 18 აგვისტოს, მოეწყობა სპეციალურად ავიაციის დღისადმი მიძღვნილი სამაგო დილა. ბავშვებთან ჩატარდება საუბრები ავიაციის საკითხებზე, ხოლო შემდეგ შესდგება პლანერების საცდელი გაშვება.

18 აგვისტოს კლუბი გაფოსცემს კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს, რომელშიაც გაშუქებული იქნება ჩვენი ავიაციის წარმატებანი. მოეწყობა აგრეთვე ფოტო-გამოფენა საბჭოთა ავიაციის მიღწევებზე.

ფიზკულტურა და სპორტი

ოდესა — ტფილისი

13 აგვისტოს ოდესის პროფკავშირების ნაკრებ გუნდთან თამაშობდა ტფილისის სამმხმარეო ორგანიზაციათა კავშირის გუნდი. სტუმრებმა ამ შეჯიბრებაში თავისი ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანეს და თამაშის საკმაოდ განვითარებული ტექნიკა გამოამჟღავნეს.

პირველი ტაიმი თანაბარი თამაშის შედეგად დამთავრდა 1:1, ამასთანავე ბურთები ორივე გუნდის მხრიდან გატანილ იქნა „პენალტი“-დან.

მეორე ტაიმი იწყება ტფილისის გუნდის ძლიერი შეტევით. ტფილისელები სწრაფი ტემპით და კოლექტიურად თამაშობენ, ნაზრად ქმნიან კრიტიკულ მომენტებს ოდესის კარებთან, მაგრამ ბურთის გატანას ვერ ახერხებენ. შუა ტაიმში ნ. ჩხეიძეს ძლევრად ურტყამს მარცხენა კუთხეში, მაგრამ ბურთი ბოძს ხვდება და უკან ბრუნდება. რამოდენიმე წუთის შემდეგ ს. სახარულიძე მოხდენილად გაუსხლტება ოდესის მცველებს და მარცხენა ფეხით მაგრად ურტყამს მარჯვენა კუთხეში, მაგრამ ეს ბურთიც ბოძს ხვდება და მინდორზე ბრუნდება.

ტფილისის გუნდს აშკარად „ბედი არ სწყალობს“. სტუმრების ჭიშკარში დარტყმული ყოველი ბურთი ან შტანგას ვხდება ან მეკარეს უვარდება ხელში. (სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ოდესის მეკარე ამ ლეგ შესანიშნავად თამაშობდა). მწვავე და საინტერესო თამაშის შემდეგ მეორე შეჯიბრებაც ოდესელებთან ფრედ დამთავრდა (1:1).

სამმხმარეო კოოპერაციის გუნდმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მისი სახით ტფილისს ყავს ცოცხალი, ენერგიული, მზარდი ფიზკულტურული კოლექტივი.

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეჯიბრება ოდესის გუნდთან. ტფილისის მხრიდან თამაშობს „დინამო-პირველი“.

პირველობის გათამაშება ველოსპორტში

17 და 18 აგვისტოს ველოდრომზე ჩატარდება ტფილისის პირველობის გათამაშება ველოსპორტში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ „დინამო“-ს, პროფკავშირების, სარეწაო კოოპერაციის და წითელი არმიის გუნდები. შეჯიბრება ამავე დროს საკავშირეოკაცო ხასიათის ატარებს., რაც პირველია ტფილისში.

შეჯიბრებაზე გამოყოფილი იქნება გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ველოსპორტის სრულიად საქართველოს პირველობის გათამაშებაში

ტფილისი

ტფილისის ბანაკი

ბანაკში ბანაკობენ ტფილისელ ბავშვთა ბაღების ბავშვები. ბანაკი ეწყობა ტყეში, ბაღ-ბაღ. ბანაკში ბავშვებს ეძლევათ ბინა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ლოგინი, ბალიში, ბალიშის ტანსაცმელი, ბალიშის ტანსაცმელი, ბალიშის ტანსაცმელი